საქართველოს მთავრობის განკარგულება

№671 2018 წლის 27 მარტი ქ. თბილისი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 6 ივნისის №249 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისა და მაღალმთიან დასახლებებში საჯარო ან კერძო პროექტების განხორციელებისათვის „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან:

ა) არა უმეტეს 10 (ათი) მილიონი ლარი მიიმართოს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების

შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის არა უმეტეს 3 (სამი) მილიონი ლარის გამოყოფა მის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებებში კენკროვანი კულტურების გაშენებისათვის;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის არა უმეტეს 7 (შვიდი) მილიონი ლარის გამოყოფა მის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**